

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2017

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	i
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	ii-v
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10-34

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 7 სექტემბერს.

გიორგი კერესელიძე
დირექტორი

ელისო როსებიშვილი
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 7 სექტემბერს.

გიორგი კერესელიძე
დირექტორი



ელისო როსებიშვილი
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს

მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს (შემდგომში - „კომპანია“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამომყენებელი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზისგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები

ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშგებაზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია.

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან მიმართებაში ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ამ აუდიტორული დასკვნის, ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცსა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მმართველობის ანგარიშგება უნდა დაიწეროს და წაკითხულ იქნეს ამ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. მმართველობის ანგარიშგება ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის ამ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების ხელმოწერის თარიღები სხვადასხვა იქნება და რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს ექნება ადგილი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის შემდგომ - მმართველობის ანგარიშგების გამოცემამდე, შედეგად, მმართველობის ანგარიშგება იქნება არსებითად განსხვავებული ამ ფინანსური ანგარიშგებისგან. მიუხედავად ამისა, მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი გარემოებები აღწერილი იქნება მმართველობის ანგარიშგების სპეციალურ აბზაცში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს-1 ის შესაბამისად, როგორც ფასს-ებით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. აქვე შევნიშნავთ, რომ შესაბამისი ციფრები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აუდიტირებული, თუმცა ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები, როგორც ეს განსაზღვრულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პირველი წლის აუდიტის გარიგების დადების დროს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

7 სექტემბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

7 სექტემბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

RSM Georgia

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე




შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	255,387	55,628	274,123
დებიტორული დავალიანება	5	962,870	645,987	949,621
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	82,206	78,479	77,119
სხვა აქტივები		4,446	4,355	4,355
გაცემული სესხები	7	4,603,394	4,635,935	4,126,857
საგადასახადო აქტივები	8	-	61,411	-
ძირითადი საშუალებები	9	48,475,440	48,676,122	49,020,767
არამატერიალური აქტივები		323	323	380
მთლიანი აქტივები		54,384,066	54,158,240	54,453,222
საწესდებო კაპიტალი	10	1,897,500	1,897,500	1,897,500
გაუნაწილებელი მოგება	10	376,339	114,024	376,339
დამატებით შეტანილი კაპიტალი	10	8,271,180	8,271,180	8,271,180
გადაფასების რეზერვი	10	43,568,004	43,646,059	43,724,114
სულ კაპიტალი		54,113,023	53,928,763	54,269,133
ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		29,666	32,184	7,877
კრედიტორული დავალიანება	11	193,821	197,293	158,647
საგადასახადო ვალდებულებები	8	47,556	-	17,565
სულ ვალდებულებები		271,043	229,477	184,089
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,384,066	54,158,240	54,453,222

გიორგი კერესელიძე


დირექტორი


ელისო როსებიშვილი

ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	255,387	55,628	274,123
დებიტორული დავალიანება	5	962,870	645,987	949,621
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	82,206	78,479	77,119
სხვა აქტივები		4,446	4,355	4,355
გაცემული სესხები	7	4,603,394	4,635,935	4,126,857
საგადასახადო აქტივები	8	-	61,411	-
ძირითადი საშუალებები	9	48,475,440	48,676,122	49,020,767
არამატერიალური აქტივები		323	323	380
მთლიანი აქტივები		54,384,066	54,158,240	54,453,222
საწესდებო კაპიტალი	10	1,897,500	1,897,500	1,897,500
გაუნაწილებელი მოგება	10	376,339	114,024	376,339
დამატებით შეტანილი კაპიტალი	10	8,271,180	8,271,180	8,271,180
გადაფასების რეზერვი	10	43,568,004	43,646,059	43,724,114
სულ კაპიტალი		54,113,023	53,928,763	54,269,133
ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		29,666	32,184	7,877
კრედიტორული დავალიანება	11	193,821	197,293	158,647
საგადასახადო ვალდებულებები	8	47,556	-	17,565
სულ ვალდებულებები		271,043	229,477	184,089
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,384,066	54,158,240	54,453,222


 გიორგი კერესელიძე
 დირექტორი


 ელისო როსებიშვილი
 ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	12	1,164,118	1,080,528
საიტარო შემოსავალი	12	781,167	573,324
სულ შემოსავალი		1,945,285	1,653,852
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(356,958)	(348,836)
ხელფასები	14	(781,733)	(723,678)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(622,609)	(608,508)
საოპერაციო მოგება		183,985	(27,170)
საპროცენტო შემოსავალი	6	284,855	285,503
სხვა შემოსავლები	15	164,260	196,110
უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	5	(90,540)	(650,962)
სხვა ხარჯები		(27,511)	(35,700)
მოგება დაბეგვრამდე		515,049	(232,219)
მიმდინარე მოგების გადასახადი	16	(4,765)	(108,151)
წმინდა მოგება/(ზარალი)		510,284	(340,370)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		510,284	(340,370)

 გიორგი კერესელიძე


დირექტორი

 ელისო როსებიშვილი

ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
 წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	12	1,164,118	1,080,528
საიჯარო შემოსავალი	12	781,167	573,324
სულ შემოსავალი		1,945,285	1,653,852
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(356,958)	(348,836)
ხელფასები	14	(781,733)	(723,678)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(622,609)	(608,508)
საოპერაციო მოგება		183,985	(27,170)
საპროცენტო შემოსავალი	6	284,855	285,503
სხვა შემოსავლები	15	164,260	196,110
უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	5	(90,540)	(650,962)
სხვა ხარჯები		(27,511)	(35,700)
მოგება დაბეგვრამდე		515,049	(232,219)
მიმდინარე მოგების გადასახადი	16	(4,765)	(108,151)
წმინდა მოგება/(ზარალი)		510,284	(340,370)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		510,284	(340,370)


 გიორგი კერესელიძე
 დირექტორი


 ელისო როსებიშვილი
 ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ფასს-ზე გადასვლამდე		1,897,500	8,271,180	409,501	-	10,578,181
კორექტირება	20	-	-	(33,162)	43,724,114	43,690,952
ნაშთი 2016 წლის 01 იანვრისთვის		1,897,500	8,271,180	376,339	43,724,114	54,269,133
წლის გარალი		-	-	(340,370)	-	(340,370)
გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია		-	-	78,055	(78,055)	-
გადახდილი დივიდენდი		-	-	-	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	10	1,897,500	8,271,180	114,024	43,646,059	53,928,763
წლის მოგება		-	-	510,284	-	510,284
გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია		-	-	78,055	(78,055)	-
გადახდილი დივიდენდი		-	-	(326,024)	-	(326,024)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	10	1,897,500	8,271,180	376,339	43,568,004	54,113,023

გიორგი კერესელიძე


დირექტორი


ელისო როსებიშვილი

ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ფასს-ზე გადასვლამდე		1,897,500	8,271,180	409,501	-	10,578,181
კორექტირება	20	-	-	(33,162)	43,724,114	43,690,952
ნაშთი 2016 წლის 01 იანვრისთვის		1,897,500	8,271,180	376,339	43,724,114	54,269,133
წლის ზარალი		-	-	(340,370)	-	(340,370)
გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია		-	-	78,055	(78,055)	-
გადახდილი დივიდენდი		-	-	-	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	10	1,897,500	8,271,180	114,024	43,646,059	53,928,763
წლის მოგება		-	-	510,284	-	510,284
გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია		-	-	78,055	(78,055)	-
გადახდილი დივიდენდი		-	-	(326,024)	-	(326,024)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	10	1,897,500	8,271,180	376,339	43,568,004	54,113,023


 გიორგი კერესელიძე
 დირექტორი


 ელისო როსებიშვილი
 ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		515,049	(232,219)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	356,958	348,835
საპროცენტო შემოსავალი	7	(284,855)	(285,503)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე		587,152	(168,887)
ცვლილება მარაგებში		(3,722)	(1,306)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	5	(213,393)	335,709
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	8	(3,472)	38,646
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/			
გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		366,565	204,162
გადახდილი მოგების გადასახადი		(530)	(192,666)
ოპერაციებში (გამოყენებული)/გენერირებული			
წმინდა ფულადი ნაკადები		366,035	11,496
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებებისა		(156,276)	(4,191)
ცვლილება გაცემული სესხები		(10,000)	(225,800)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა			
ფულადი სახსრები		(166,276)	(229,991)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის		55,628	274,123
მდგომარეობით			
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		199,759	(218,495)
31 დეკემბრის მდგომარეობით	4	255,387	55,628

გიორგი კერესელიძე


დირექტორი


ელისო როსებიშვილი

ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		515,049	(232,219)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	356,958	348,835
საპროცენტო შემოსავალი	7	(284,855)	(285,503)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე		587,152	(168,887)
ცვლილება მარაგებში		(3,722)	(1,306)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	5	(213,393)	335,709
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	8	(3,472)	38,646
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/ გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		366,565	204,162
გადახდილი მოგების გადასახადი		(530)	(192,666)
ოპერაციებში (გამოყენებული)/გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები		366,035	11,496
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებებისა		(156,276)	(4,191)
ცვლილება გაცემული სესხები		(10,000)	(225,800)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(166,276)	(229,991)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		55,628	274,123
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		199,759	(218,495)
31 დეკემბრის მდგომარეობით	4	255,387	55,628


გიორგი კერესელიძე
დირექტორი


ელისო როსებიშვილი
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსდა 1999 წელს, როგორც სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ორგანიზაცია. მისი იურიდიული მისამართია მელიქიშვილის გამზ. №1, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკონცერტო დარბაზით მომსახურება.

კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელი არის სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით. კომპანიის მმართველი პირი არის შპს „ინტერნეიშენალ ივენთსი“, რომელსაც კომპანია მფლობელმა გადასცა მმართველობაში 49 წლის ვადით 2007 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების ძირითადი პირობების შესაბამისად მმართველი პირი ვალდებულია გადაიხადოს ფიქსირებული მართვის საზღაური ყოველწლიურად, ხოლო მმართველი კომპანია საზღაურის სახით იღებს საწარმოს ყოველწლიურ წმინდა მოგებას (დივიდენდს).

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჯოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომ პერიოდებზე. ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი. 20-ე განმარტებით შენიშვნაში ახსნილია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი კორექტირებები.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიამ თანმიმდევრულად გამოიყენა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

(ბ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალში გარდა გადასახადების იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ისეთ მუხლებს, რომელიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის

ქართულ ლარში

მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარგადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მითანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ბარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება. იმისათვის, რომ აქტივების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი საბალანსო ღირებულებისგან, კომპანია თავისი ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახორციელებს 4 წელიწადში ერთხელ.

გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც წინა პერიოდში კონკრეტული ძირითადი საშუალების გადაფასების დეფიციტი აისახა მოგება-ზარალში მხოლოდ წინა პერიოდის კომპენსირების მოცულობით. ყველა სახის გადაფასების დეფიციტი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გადაფასების დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე წინა პერიოდში აღიარებულ გადაფასების რეზერვს და გამოიქვითება ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან იმ ოდენობით, რა ოდენობითაც არის გადაფასების რეზერვი შექმნილი. წინა პერიოდის გადაფასების რეზერვის არასაკმარისი ოდენობით არსებობის პირობებში სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც აღიარებულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია

საიმედოდ. ყველა სხვა ხარჯის, მათ შორის შეკეთება და რემონტის ხარჯის, აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი მოხდენის პერიოდში.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოინერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობა - ნაგებობები 55 წელი;
- ელექტრო მოწყობილობები და სხვა 25 წელი;
- საოფისე ავეჯი და მოწყობილობები 10 წელი;

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(ე) შემოსავლები

(i) შემოსავალი მომსახურების განწევიდან

შემოსავალი მომსახურების განწვიდან აღიარდება დარიცხვის მეთოდით, იმ თარიღისთვის, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა. შემოსავლად აღიარდება გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები ეკონომიკური სარგებლის რეალური ღირებულება, შემცირებული სავაჭრო ფასდამოებებითა და გადასახადების თანხით (მაგ: დღგ).

(j) საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით ყოველთვიურად, ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

(ვ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ზ) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არანარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში, ხოლო არანარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას - სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(ი) არანარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია მოთხოვნებისა და სესხების თავდაპირველ აღიარებას ახდენს მათი წარმოქმნის თარიღის მიხედვით. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებული, გაუქმებული ან ამოწურულია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადაფარვა და წმინდა რაოდენობის წარდგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიას გააჩნია აღნიშნული გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მისაღები სესხები და მოთხოვნები იზომება

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ამორტიზირებადი ღირებულებით (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით), გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცემის დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

სესხების და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავენ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ბალანსებს.

(ii) არანარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არანარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულება, დადგენილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(iii) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(ვ) გაუფასურება**(j) არანარმოებული ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია თუ ობიექტური მტკიცებულება იმაზე მიუთითებს, რომ ზარალი დადგა აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ და რომ ზარალმა ნეგატიური გავლენა მოახდინა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ გაანგარიშებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობა ან ვალდებულების შესრულების ვადაგადაცემა;
- სესხის რესტრუქტურირება ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ნიშნები, რომლებიც იმაზე მეტყველებს, რომ მსესხებელი გაკოტრდება;
- ეკონომიკური პირობები, რომლებიც ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია განიხილავს ამ აქტივებისთვის გაუფასურების მტკიცებულებას ინდივიდუალური აქტივისა და ერთობლივ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით. თუ აქტივი გაუფასურებული არ არის, შემდეგ ხდება მისი ერთობლივ დონეზე შეფასება გაუფასურების კუთხით. ინდივიდუალურად უმნიშვნელო აქტივები ერთობლივ დონეზე ფასდება გაუფასურების კუთხით, რისკების მსგავსი მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფების მეშვეობით. ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობის ისტორიულ ტენდენციებს, ანაზღაურების ვადებს და ზარალის თანხას, რაც კორექტირდება ხელმძღვანელობის მსჯელობით იმასთან დაკავშირებით არის თუ არა არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ ფაქტობრივი ზარალი უფრო მეტი იყოს ან ნაკლები, ვიდრე ეს მოსალოდნელია ისტორიული ტენდენციების გათვალისწინებით.

გაუფასურების ზარალი გამოიანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და ასახულია რეზერვის ანგარიშში. როდესაც კომპანია განიხილავს აქტივის ანაზღაურების რეალისტური პერსპექტივის არსებობის ფაქტს, ხდება შესაბამისი თანხების ჩამოწერა.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივებისა და მარაგების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდიანებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკე ფულად შემოდიანებებს და გამოიყენება ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულით. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მათი შემოწმება ხდება გაუფასურების კუთხით.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად თანხას. გაუფასურების ზარალი

ქართულ ლარში

აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ერიცხება აქტივის ერთეულს, პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღით, იმ მაჩვენებლის მიხედვით შემცირდა თუ არა, ან არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უქმდება თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრად გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი უქმდება მხოლოდ ისეთ ფარგლებში, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ გაუფასურების ზარალი არ იყო აღიარებული.

შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განსაზღვრა, უიმედო ვალების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რიგი სააღრიცხვო პოლიტიკები და განმარტებები საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, სამართლიანი ღირებულებები განსაზღვრულია განმარტების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში.

- *დონე 1:* კოტირებული ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩანერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ე.ი. ფასების სახით), ასევე ირიბად (ე.ი. ფასებისგან წარმოებული ფორმით).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

ქართულ ლარში

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა რეალური ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ რეალური ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

3. ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთ მოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოშვებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ინვესტირების და არაინვესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდი ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთ აღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულია და დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამოწვევის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, პეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

პეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის პეჯირება.

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (აღრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

პრინციპით აღირიცხოს გადაზღვრვისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვრვის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ნაღდი ფული	1,555	1,336	1,445
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	4,832	34,292	42,678
საბანკო დეპოზიტი	249,000	20,000	230,000
სულ	255,387	55,628	274,123

საბანკო დეპოზიტი განთავსებულია თიბისი ბანკში წლიური 2%-იანი განაკვეთით ერთ წლამდე ვადით. საბანკო დეპოზიტიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 2017 წელს შეადგინა 1,302 ლარი, ხოლო 2016 წლისთვის 2,188 ლარი.

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

5. დებიტორული დავალიანება

მოთხოვნები	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	656,837	472,051	292,181
მოთხოვნები იჯარიდან	795,657	633,600	525,263
მოთხოვნები კომუნალურ გადასახადზე*	274,978	214,398	155,327
სხვა მოთხოვნები	50	50	-
სულ	1,727,522	1,320,099	972,771
გაუფასურების ანარიცხი			
საეჭვო მოთხოვნები მომსახურებიდან	(30,914)	(40,682)	(14,289)
საეჭვო მოთხოვნები იჯარიდან	(519,340)	(478,103)	(8,861)
საეჭვო მოთხოვნები კომუნალურ გადასახადზე*	(214,398)	(155,327)	-
სულ საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(764,652)	(674,112)	(23,150)
სულ მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	962,870	645,987	949,621

* შპს „თბილისის საკონცერტო დარბაზი“-ს და ერთერთ კომპანიას, რომელიც მდებარეობს ამავე შენობაში, აქვთ კომუნალურების საერთო მრიცხველები და შპს „თბილისის საკონცერტო დარბაზი“ ერთიანად იხდის. ზემოხსენებული ორგანიზაცია ეტაპობრივად უნაზღაურებს კომუნალურ ხარჯებს.

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილებული პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	843,533	12,141	-	133,386	14,800	723,663	1,727,522
გაუფასურება	-	(243)	-	(33,347)	(7,400)	(723,663)	(764,652)
სულ მოთხოვნები 31.12.2017	843,533	11,898	-	100,039	7,400	-	962,870

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილებების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	538,905	24,424	5,352	72,900	46,773	631,744	1,320,098
გაუფასურება	-	(488)	(268)	(18,225)	(23,387)	(631,744)	(674,112)
სულ მოთხოვნები 31.12.2016	538,905	23,936	5,084	54,675	23,386	-	645,986

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილებების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	511,273	429,050	3,599	15,071	6,312	7,465	972,770
გაუფასურება	-	(8,581)	(180)	(3,768)	(3,156)	(7,465)	(23,150)
სულ მოთხოვნები 01.01.2016	511,273	420,469	3,419	11,303	3,156	-	949,620

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

01.01.2016	23,150
დარიცხვა წლის განმავლობაში	657,189
შემცირება წლის განმავლობაში	(14,421)
ჩამოწერა 2016 წლის 31.12.2016	674,112
დარიცხვა წლის განმავლობაში	126,018
შემცირება წლის განმავლობაში	(35,478)
31.12.2017	764,652

არ არის არსებითი განსხვავება დებიტორული დავალიანების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
სამეურნეო საქონელი	69,739	66,012	64,652
სათადარიგო ნაწილები	12,467	12,467	12,467
სულ	82,206	78,479	77,119

7. გაცემული სესხები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
გრძელვადიანი გაცემული სესხის ძირი	1,700,108	2,024,136	4,126,857
სულ გაცემული გრძელვადიანი სესხი	1,700,108	2,024,136	4,126,857
მოკლევადიანი სესხები			
მისაღები პროცენტები	2,895,286	2,611,799	-
მოკლევადიანი გაცემული სესხი	8,000	-	-
სულ მოკლევადიანი სესხები	2,903,286	2,611,799	-
სულ გაცემული სესხები	4,603,394	4,635,935	4,126,857

თბილისის საკონცერტო დარბაზს მმართველი კომპანიისთვის (შპს ინტერნეიშენალ ივენთსი) გაცემული აქვს გრძელვადიანი სესხი 14 % წლიური ნომინალური საპროცენტო სარგებლით (2016 წლის მარტამდე 18%-იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთით). არ არის არსებითი განსხვავება ეფექტურ და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის. სესხი გაცემულია 2009 წლის 12 ნოემბერს და დასრულების თარიღი ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია 2019 წლის 12 ნოემბერი. 2017 წელს სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 284,855 ლარი (2016: 285,503). კომპანიის შეფასებით გაცემული სესხი გაუფასურებული არ არის.

სასესხო ხელშეკრულების თანახმად, მსესხებლის მიერ სესხით აღებული თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის დაწყების თარიღად განსაზღვრულია 2014 წლის 15 ნოემბერი. მსესხებლის მიერ სასესხო ვალდებულების დასაფარად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ რიგში დაიფარება სესხის ძირითადი თანხა და შემდეგ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

დამატებითი ინფორმაცია სესხის პროცენტისა და ძირის დაფარვის შესახებ წარმოდგენილია მე - 10 განმარტებით შენიშვნაში.

არ არის არსებითი განსხვავება გაცემული სესხების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

8. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
საგადასახადო აქტივი			
მოგების გადასახადი	94,670	99,339	17,370
სულ საგადასახადო აქტივი	94,670	99,339	17,370
საგადასახადო ვალდებულებები			
ქონების გადასახადი	61,853	30,206	3,210
გადასახდელი დღგ	78,604	5,952	29,656
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	1,770	1,769	2,069
სულ საგადასახადო ვალდებულებები	142,226	37,928	34,935
წმინდა საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	(47,556)	61,411	(17,565)

9. ძირითადი საშუალებები

	მინა	შენიშვნები	ოფისის ავეჯი და მოწყობილობები	ელექტრო მოწყობილობები და სხვა	სულ
გადაფასებული ღირებულება 01 იანვარი 2016	39,528,332	8,660,272	55,879	776,284	49,020,767
შეძენა	-	-	-	4,191	4,191
გადაფასებული ღირებულება 31 დეკემბერი 2016	39,528,332	8,660,272	55,879	780,475	49,024,958
შეძენა	-	57,111	4,356	94,809	156,276
გადაფასებული ღირებულება 31 დეკემბერი 2017	39,528,332	8,717,383	60,235	875,284	49,181,234
დაგროვილი ცვეთა 01 იანვარი 2016	-	-	-	-	-
ცვეთა	-	(157,961)	(15,446)	(175,429)	(348,836)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016	-	(157,961)	(15,446)	(175,429)	(348,836)
ცვეთა	-	(158,490)	(15,663)	(182,805)	(356,958)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	(316,451)	(31,109)	(358,234)	(705,794)
წმინდა საბალანსო ღირებულება 01 იანვარი 2016	39,528,332	8,660,272	55,879	776,284	49,020,767
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2016	39,528,332	8,502,311	40,433	605,046	48,676,122
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	39,528,332	8,400,932	29,126	517,050	48,475,440

კომპანია გადავიდა გადაფასების მოდელზე და შესაბამისად მოახდინა მის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სრული გადაფასება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ სამართლიანი ღირებულებით, სადაც შემფასებელმა გამოიყენა დანახარჯებისა (შენობა-ნაგებობებისთვის) და საბაზრო (მიწისა და მოძრავი ქონებისთვის) მידგომები. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის ფასს-ებით მომზადებული პირველი ანგარიშგება და

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

კომპანიისთვის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი, კომპანიამ მოახდინა გადაფასებული ძირითადი საშუალებების ღირებულების გადაანგარიშება აღნიშნული თარიღისთვისაც (ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის) ცვთის განაკვეთისა გათვალისწინებით.

კომპანიის საკუთრებაში არის 15,189 კვ.მ-ის შენობა, რომლის ნაწილი გაქირავებულია საოპერაციო იჯარით სხვადასხვა მომხმარებლებზე. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაქირავებული ფართის მოცულობა შეადგენს შესაბამისად 3,174 კვ.მ და 2,861 კვ.მ. აღნიშნული შენობა რეგისტრირებულია ერთ მთლიან ქონებად და გამიჯვნა შეუძლებელია, ასევე შენობის უმეტესი ნაწილი გამოიყენება საკონცერტო დარბაზით მომსახურების გაწევისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მიზნით, შესაბამისად მთლიანი შენობა განიხილება მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად და აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალება. კომპანიის სამომავლო განზრახვაა გამოიყენოს ქონება თავისი საოპერაციო მიზნებისთვის, თუმცა საოპერაციო იჯარად გასცემს გამოუყენებელ დამატებით მოცულობას. იმ შემთხვევაში თუ გაქირავებული ნაწილი არ ჩაითვლება, როგორც დამატებით გამოუყენებელი მოცულობა, კომპანია ასეთ ქონებას დააკლასიფიცირებს საინვესტიციო ქონებად.

ცალკეული ჯგუფებისთვის საბალანსო ღირებულება, რაც იქნებოდა თვითღირებულების მოდელის გამოყენების შემთხვევაში, წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით.

ჯგუფის დასახელება	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მიწა	97,249	97,249	97,249
შენობები	4,016,619	4,168,459	4,387,852
ოფისის ავეჯი და მოწყობილობები	168,041	187,701	215,125
ელექტრო მოწყობილობები და სხვა	494,494	507,840	629,588
სულ	4,776,403	4,961,249	5,329,814

10. კაპიტალი

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,897,500 ლარს.

გაუნაწილებელი მოგება კომპანიას 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არ აქვს, რადგან თბილისის საკონცერტო დარბაზს გაცემული აქვს გრძელვადიანი სესხი მმართველ ორგანიზაციაზე, რომელიც, ამავდროულად, არის მისი მოგების 100%-იანი წილის მფლობელი, პირველ რიგში, სესხის ძირი და შემდგომ დარიცხული პროცენტი იქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან. 2015 წელს გაქვითული არის 1,965,264 ლარი, ხოლო 2017 წელს 326,024 ლარი.

გადაფასების რეზერვი 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 43,724,114 ლარს. კომპანია ახდენს, მიწის რეზერვის გარდა, ამორტიზაციას ყოველწლიურად 78,055 ლარით.

კაპიტალში დამატებით შენატანი შედგება 8,271,180 ლარით. შპს „ინტერნეიშენალ ივენთს“-ს დაევალა 5,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება საკონცერტო დარბაზის მოსაწყობად, 27 ივლისი 2007 წლის „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 %-იანი წილის მართვის უფლების გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებით.

11. კრედიტორული დავალიანება

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
დავალიანება საქონლის მოწოდებიდან	8,783	4,932	5,066
დავალიანება მომსახურების გაწევიდან	132,027	125,638	89,421
გადასახდელი კომუნალური გადასახადი	49,661	66,723	64,160
სხვა კრედიტორული დავალიანება	3,350	-	-
სულ	193,821	197,293	158,647

არ არის არსებითი განსხვავება კრედიტორული დავალიანების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

12. შემოსავალი

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება საკონცერტო დარბაზით მომსახურების გაწევისგან. 2017 წლის განმავლობაში აღნიშნული მომსახურებისგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,164,118 ლარი (2016:1,080,528 ლარი).

2017 წელს, კომპანიას ჰყავდა ორი მსხვილი კონტრაქტორი, რომლებისგანაც მიიღო მთლიანი შემოსავლების 25% და 15 %, ხოლო 2016 წელს - ჰყავდა ერთი მსხვილი კონტრაქტორი, რომლისგანაც მიიღო მთლიანი შემოსავლის 29%.

კომპანია ასევე იღებს შემოსავალს სხვადასხვა იურიდიულ პირებზე ფართების გაქირავებიდან. 2017 წლის განმავლობაში საიტარო შემოსავლებმა შეადგინა 781,167 ლარი (2016: 573,324 ლარი).

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
კომუნალური ხარჯები	(346,340)	(365,718)
გადასახადების ხარჯი	(115,775)	(118,363)
დაცვის ხარჯი	(103,983)	(102,712)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(34,477)	(21,715)
აუდიტის ხარჯი	(22,034)	-
სულ	(622,609)	(608,508)

14. ხელფასები

	2017	2016
ტექნიკური თანამშრომლები	(441,104)	(410,037)
ადმინისტრაცია	(340,629)	(313,641)
სულ	(781,733)	(723,678)

15. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები შედგება კომუნალური გადასახადების შემოსავლებისგან, რამაც 2017 წლისთვის 164,260 ლარი, ხოლო 2016 წლისთვის 196,110 ლარი შეადგინა. კომპანია ხელშეკრულების პირობებით დამკვეთებს დამატებით ანაზღაურებინებს კომუნალურის ხარჯს, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელიც განხილულია მე - 5 შენიშვნაში. აღნიშნული კომპანიისგან მიღებული სხვა შემოსავლები შეადგენს 2017 წელს 59,389 ლარს და 2016 წელს- 73,902 ლარს.

16. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 4,765 ლარი (2016: 108,151 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადავადებული გადასახადი

გამომდინარე იქედან, რომ კომპანია არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენებელი, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მოხდა ფასს 1-ის „*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება*“ თანახმად გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენება, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს ფასს - ების პირველადი გამოქვეყნების თარიღისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებით გამოიყენოს რეტროსპექტულად საწყის ნაშთებზეც. იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით მომზადდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია იყენებს ზემოთ აღნიშნული ფასს 1-ის მიერ განსაზღვრულ მიდგომას და არ აღიარებს გადავადებულ გადასახადს საწყის ნაშთებზეც.

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში

შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ბარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ლიკვიდურობის ცხრილი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	255,387	-	-	255,387
დებიტორული დავალიანება	962,870	-	-	962,870
გაცემული სესხები	2,903,286	1,700,108	-	4,603,394
აქტივები 31.12.2017	4,121,543	1,700,108	-	5,821,651
კრედიტორული დავალიანება	(193,821)	-	-	(193,821)
საგადასახადო ვალდებულებები	(47,556)	-	-	(47,556)
ვალდებულებები 31.12.2017	(241,377)	-	-	(241,377)
ბალანსი 31.12.2017	3,880,166	1,700,108	-	5,580,274

ლიკვიდურობის ცხრილი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	55,628	-	-	55,628
დებიტორული დავალიანება	645,987	-	-	645,987
გაცემული სესხები	2,611,799	2,024,136	-	4,635,935
საგადასახადო აქტივები	61,411	-	-	61,411
აქტივები 31.12.2016	3,313,414	2,024,136	-	5,337,550
კრედიტორული დავალიანება	(197,293)	-	-	(197,293)
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-
ვალდებულებები 31.12.2016	(197,293)	-	-	(197,293)
ბალანსი 31.12.2016	3,116,121	2,024,136	-	5,140,257

ლიკვიდურობის ცხრილი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	274,123	-	-	274,123
დებიტორული დავალიანება	949,621	-	-	949,621
გაცემული სესხები	-	4,126,857	-	4,126,857
აქტივები 01.01.2016	1,223,744	4,126,857	-	5,350,601
კრედიტორული დავალიანება	(158,647)	-	-	(158,647)
საგადასახადო ვალდებულებები	(17,565)	-	-	(17,565)
ვალდებულებები 01.01.2016	(176,212)	-	-	(176,212)
ბალანსი 01.01.2016	1,047,532	4,126,857	-	5,174,389

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების

მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში არაარსებითია. კომპანიას არ აქვს აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(iv) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

18. გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. დაკავშირებული მხარეები

(ა) მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით. კომპანიის მმართველი პირი და 100% მოგების წილის მფლობელი არის შპს „ინტერნეიშენალ ივენთსი“.

(ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

	2017	2016
ხელფასები	191,875	177,171

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია 2017 და 2016 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2017	2016
ტრანზაქციები პერიოდისთვის:		
საპროცენტო შემოსავალი	283,473	283,278
ხელფასები	(59,350)	(59,228)
სულ	224,123	224,051
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით		
დებიტორული დავალიანება	5,531	(1,848)
გაცემული სესხები	4,595,394	4,635,935
კრედიტორული დავალიანება	(53,177)	(66,723)
სულ	4,547,748	4,567,364

20. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი, რომელიც მან ფასს-ების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად განხორციელდა შემდეგი კორექტირებები:

	ძირითადი საშუალებები
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2015	5,329,814
გადაფასების რეზერვი	43,724,114
გაუნაწილებელი მოგება	(33,162)
ისტორიული ღირებულება 01 იანვარი 2016	49,020,767

ძირითადი საშუალებები

ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავდა საბალანსო ღირებულებით, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც თვითღირებულება შემცირებული დაგროვილი ცვებით.

ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლის შემდომ კომპანია გადავიდა გადაფასების მოდელზე და შესაბამისად მოახდინა მის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სრული გადაფასება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საბაზრო ღირებულებით, სადაც შემფასებელმა გამოიყენა დანახარჯებისა და საბაზრო მიდგომები. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის ფასს-ებით მომზადებული პირველი ანგარიშგება და კომპანიისთვის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი, კომპანიამ მოახდინა გადაფასებული ძირითადი საშუალებების ღირებულების გადაანგარიშება აღნიშნული თარიღისთვისაც (ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის) ცვეთის განაკვეთის გათვალისწინებით.

გადაფასების რეზერვი

შეფასების შედეგად მიღებული ნამეტი ღირებულება აღიარდა გადაფასების რეზერვში.

21. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს რაიმე სახის პირობითი ვალდებულებები.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2017

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ...	i
დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი	ii
კომპანიის განვითარების გეგმები	4
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	5
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	6
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	6
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	8
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.....	8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 სექტემბერს.

გიორგი კერესელიძე
დირექტორი

ელისო როსებიშვილი
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე
წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი-ს (შემდგომში - კომპანია)
მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი
აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც
მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის
საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის
მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 სექტემბერს.

გიორგი კერესელიძე
დირექტორი

ელისო როსებიშვილი
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი



დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

ბატონებო,

თქვენი 2018 წლის 20 სექტემბრით დათარიღებული წერილის, რომლითაც ითხოვთ მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვას, საპასუხოდ:

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდგომ, მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჭნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7-პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;

- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2018 წლის 7 სექტემბერს, გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

20 სექტემბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.


ჩვენ, 2018 წლის 7 სექტემბერს, გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

20 სექტემბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

Rsm Georgia




კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსდა 1999 წელს, როგორც სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ორგანიზაცია. მისი იურიდიული მისამართია მელიქიშვილის გამზ. №1, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითდი საქმიანობაა საკონცერტო დარბაზით მომსახურება.


კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელი არის სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით. კომპანიის მმართველი პირი არის შპს „ინტერნეიშენალ ივენთსი“, რომელსაც კომპანია მფლობელმა გადასცა მმართველობაში 49 წლის ვადით 2007 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების ძირითადი პირობების შესაბამისად მმართველი პირი ვალდებულია გადაიხადოს ფიქსირებული მართვის საზღაური ყოველწლიურად, ხოლო მმართველი კომპანია საზღაურის სახით იღებს საწარმოს ყოველწლიურ წმინდა მოგებას (დივიდენდს).

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. კომპანიის საქმიანობა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, დიდი კონკურენციით გამოირჩევა და შესაბამისად, კომპანია მუდმივი განვითარების პროცესშია. დღესდღეობით კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზე ორიენტირებული, სამომავლოდ იგეგმება ამ კონკრეტული სეგმენტზე ოპერირების კიდევ უფრო მეტად გამყარება და გაფართოება. აღნიშნულის მისაღწევად, კომპანიის ხელმძღვანელობა გეგმავს სხვადასხვა მარკეტინგულ აქტივობებს, ასევე საკონცერტო დარბაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და კიდევ მეტად კონკურენტული ფასების დაწესებას მომსახურებაზე. თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ტევადობაა 2,000 ადგილი და ხშირ შემთხვევებში სხვადასხვა ორგანიზატორები (რომლებიც არ დგანან ამ მოცულობის საჭიროების წინაშე) კონცერტებს ატარებენ უფრო ნაკლები ტევადობის მქონე საკონცერტო და თეატრალურ დარბაზებში, შედეგად კომპანია კარგავს საკონცერტო დარბაზით მომსახურებიდან მისაღებ შემოსავლებს. გამომდინარე აქედან, კომპანია გეგმავს შესთავაზოს მომხმარებლებს საკონცერტო მომსახურების პაკეტი შეღავათიან ფასად, რომელშიც გარდა დარბაზით მომსახურებისა, ასევე

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

გათვალისწინებული იქნება სარეკლამო და საკონცერტო განათებით მომსახურება. კომპანია ასევე გეგმავს აქტიურად განახორციელოს საკონცერტო დარბაზის სარეკლამო კომპანია ტელევიზიებსა და თეატრალურ დარბაზებში ღონისძიებების რაოდენობების გაზრდის მიზნით.

კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე აპირებს საქმიანობის სფეროს გაფართოებას და ამ მიზნით გეგმავს შესთავაზოს ღონისძიებების ორგანიზატორებს სხვადასხვა პროექტების ერთობლივად ჩატარება, რაც მეტ მოტივაციას მისცემს მათ დაგეგმონ სხვადასხვა პროექტები შემცირებული რისკებით.



ზემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს, რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ძირითად შემოსავლებში დაფიქსირდა დაახლოებით 7%-იანი ზრდა და 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელიც დაახლოებით იგივე 8-10%-იან ზრდის ტემპზეა გათვლილი. დაახლოებით 10-12%-იანი ზრდა იგეგმება 2019-2020 წლებშიც.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

როგორც ეს აღნიშნულია კომპანიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მე-9 განმარტებით შენიშვნაში, გამოუყენებლ თავისუფალ ფართებს კომპანია გასცემს იჯარით დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით. ქალაქში განსაკუთრებით აქტუალურია პარკირების პრობლემა. ავტომანქანების რაოდენობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო პრობლემური ხდება საკონცერტო დარბაზში, კინოთეატრსა და თეატრში შესვლამდე ავტომანქანის დროული გაჩერება შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზიც. ამ პრობლემებიდან გამომდინარე, კომპანია გეგმავს არსებული თავისუფალი ფართი გამოიყენოს მიწისზედა პარკინგის ასაშენებლად, რომელიც გარდა იმისა,

რომ გარკვეულწილად მოხსნის პარკირების პრობლემას კონცერტზე მოსული მაყურებლისთვის, ასევე შესაძლებლობას მისცემს საკონცერტო დარბაზს მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

სხვა სახის კვლევები კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს ჩატარებული.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება
თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

ლიკვიდურობის ცხრილი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	255,387	-	-	255,387
დებიტორული დავალიანება	962,870	-	-	962,870
გაცემული სესხები	2,903,286	1,700,108	-	4,603,394
აქტივები 31.12.2017	4,121,543	1,700,108	-	5,821,651
კრედიტორული დავალიანება	(193,821)	-	-	(193,821)
საგადასახადო ვალდებულებები	(47,556)	-	-	(47,556)
ვალდებულებები 31.12.2017	(241,377)	-	-	(241,377)
ბალანსი 31.12.2017	3,880,166	1,700,108	-	5,580,274

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების დაკაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება ააშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიას არ აქვს აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რაოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არარსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი და აღქმადობისთვის გამოყენებულია ცხრილები და გრაფიკები.

გიორგი კერესელიძე
დირექტორი

ელისო როსებიშვილი
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი



საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რაოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არარსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი და აღქმადობისთვის გამოყენებულია ცხრილები და გრაფიკები.

გიორგი კერესელიძე
დირექტორი



ელისო როსებიშვილი

ფინანსური ჯგუფის მენეჯერი